

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ტფილისში არსებობს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება. ამ საზოგადოებაში მონაწილეობას იღებს ბევრი ქალი, განურჩევლად ეროვნებისა. საზოგადოების მიზანია არა მარტო მატერიალური დახმარება ერთმანეთისა, არამედ საზოგადოების წევრთ უფრო ღრმა და დიდმნიშვნელოვანი მისწრაფებანიც ასულდგმულებენ. მათ სურთ საერთო ძალით ხელი შეუწყონ ერთმანეთის გონებრივ განვითარებას, აამაღლონ მასწავლებლების დანიშნულება ხალხის თვალში, საერთო ძალით განაგრძონ პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საჭირო მომზადება.

როგორც ხედავთ, ეს საზოგადოება თავის მისწრაფებით სერიოზული დაწესებულებაა და ამიტომ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მას, რომ მისი მოქმედება იყოს არა შაბლონური, არა ვაჭრული საზოგადოება, რომელიც შექმნილია საპედაგოგიურ პრინციპების დასაცველად, უნდა ცდილობდეს ამ პრინციპების განხორციელებასაც, სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ხსენებულ საზოგადოებას აქვს თავისი მოსამზადებელი სასწავლებელი, რომელშიაც უნდა იხატებოდეს ქალთა საზოგადოების იდეური საქმიანობა. ჩვენც ეს სასწავლებელი უფრო იდეურის მხრით გვანტერესებს. როცა პედაგოგთა კრებული, რომელიც იდეურ მოღვაწეობას ჩემობს, სკოლას აარსებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კრებული ეცდება რაოდენამდე მაინც თავის სკოლაში პედაგოგიური პრინციპები დაამყაროს და ნორმალურ განვითარების პირობები შექმნას. თუ პედაგოგთა წრე სად პედაგოგიურ პრინციპების განხორციელებას არ ცდილობს, მაშ ვინდა უნდა ეცადოს? საუბედუროდ, ხსენებულ მასწავლებელ ქალთა სკოლაში სწავლების სისტემა არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ სასწავლებლების სისტემისგან, იმ სასწავლებლებისა, რომელთა წინააღმდეგ ასე სამართლიანად ამხედრებულა მთელი საზოგადოება. ამ სკოლაშიაც იგივე მუნჯური მეთოდია, სამშობლო ენის იგივე აბუჩად აგდება არსებობს. თუმცა სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვის ნახევარი ქართველებია, მაგრამ ქართული ენა ისევე მივიწყებულია, როგორც სხვა ადგილობრივი ენები. მართალია, ამ ქართული ენისთვის არსებობს ცალკე გაკვეთილები, მაგრამ განა ეს საკმარისია? პირველდაწყებით სკოლაში სამშობლო ენა სწავლების საფუძველი უნდა იყოს. ეს იმდენად საანბანო პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, რომ მისი აუსრულებლობა და ლალატი შეგნებულ პედაგოგს არ ეპატიება, მით უმეტეს, როცა ეს ლალატი ხდება ერთეულ არა ადამიანისაგან, არამედ პედაგოგთა მთელ საზოგადოებისგან.

ამ საზოგადოების სკოლაში ოსტატურადაა მოწყობილი ქართული ენის ცალკე საგნად სწავლება, - ის ზედმეტ ბარგადაა მიჩნეული. ვისაც სურს, რომ მის ბავშვს ქართული ენა ასწავლონ, მან თვეში უნდა იხადოს ამისათვის თითო მანეთი. ეს სწორედ იგივე წესია, რომელმაც ასე დასჩაგრა სამშობლო ენის სწავლება მთავრობის სასწავლებლებში. ვინ არ იცის, რომ მშობლები, კულტურულ შეგნებას მოკლებულნი, ნაკლებ ზრუნავენ შვილების სადი აღზრდისა და განვითარებისათვის. მატ ნებაზე აღზრდის საქმის მიგდება და მასთან სამშობლო ენისთვის ცალკე ხარკის დაწესება საუკეთესო საშუალებაა სამშობლო ენის სკოლიდან განდევნისთვის.

ასეც ხდება ეს ნამდვილად. მოწაფეთა უმრავლესობა არ იხდის განსაკუთრებულ გადასახადს და მძიმე, მაშასადამე, სამშობლო ენას არ სწავლობს. ამას მოსდევს ქართული ენის მასწავლებლის არა უზრუნველყოფა, რადგან მას მხოლოდ ზედმეტ გადასახადისგან აკმაყოფილებენ, ხოლო ეს წყარო ცოტა შემოსავალს იძლევა, ამიტომ მასწავლებელს მხოლოდ ერთი თუმანი უწევს თვიურად.

ამნაირად, პედაგოგთა სკოლაში, პედაგოგიური პრინციპი უარყოფილია, სამშობლო ენის სწავლება სრულიად მივიწყებული და აბუჩად აგდებული. სწორედ რომ სამწუხარო მოვლენაა ეს კრებული, რომელსაც საზოგადოების ნორმალურ კულტურულ განვითარების შესაფერი შეგნებული მოქმედება მოეთხოვება, ის კი წარმოადგენს არაპედაგოგიურ პრინციპის თანახმა დაწესებულებას და ამით სავაჭრო საქმედ ხდის აღზრდის საქმეს.

მიხეილ ჯავახიშვილი

1905 წ.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტმა **მარიამ კალანდაძემ**.

26.02.2020